



რეინტეგრაციის გზაკვლავი დაბრუნებული მიგრანტებისთვის



სახელმწიფო სოციალური ბანკისთვის სააგენტო

ბრუნება მომზად და გამოსცა სამოქალაქო განვითარების სააგენტომ (სიდა) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს (GPAM) - ფარგლებში და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსთან თანამშრომლობით.

ტრანსპორტი

საქართველოს თითოეულ ქალაქსა და რეგიონში განსხვავებული სატრანსპორტო საშუალებები და სამგზავრო ტარიფებია. ქალაქებში, ძირითადად, გამოიყენება მიკროავტობუსები და მუნიციპალური ტრანსპორტი. ქალაქებს შორის გადაადგილებისთვის გამოიყენება მიკროავტობუსები, ავტობუსები და მატარებელი.

თბილისი

თბილისში გადაადგილებისთვის, ძირითადად, გამოიყენება მუნიციპალური ტრანსპორტი (მეტრო, ავტობუსი) და მიკროავტობუსები.

მუნიციპალური ტრანსპორტი

თბილისში მუნიციპალური ტრანსპორტით, მეტროთი და ავტობუსით სარგებლობისთვის საჭიროა „მეტრომანის“ ბარათის ქონა. მეტროპოლიტენში მგზავრობის საფასურის გადახდა შესაძლებელია მხოლოდ „მეტრომანის“ ბარათით.

„მეტრომანის“ ბარათის შექმნა შესაძლებელია მეტროს ნებისმიერ სადგურში და რიყე-ნარიყალას საბაგირო გზის სალაროებში. ბარათის ღირებულება ერთჯერადად 2 ლარს შეადგენს. ბარათის ასაღებად რაიმე სახის დოკუმენტის წარდგენა არ არის აუცილებელი.

ბარათის შესყიდვის შემდეგ საჭიროა ბარათზე თანხის დარიცხვა. თანხის დარიცხვა შესაძლებელია:

- ნებისმიერი მეტროს სადგურის სალაროში;
- რიყე-ნარიყალას საბაგირო გზის ორივე სადგურის სალაროში;
- „საქართველოს ბანკის“ სწრაფი გადახდის აპარატებში და სერვის-ცენტრებში.

ბარათით სარგებლობის შემდეგ მასზე დარჩენილი ნაშთის ნახვა შესაძლებელია მეტროს სადგურებში მგზავრობის საფასურის გადახდისას, ავტობუსის ბილეთზე და სადგურების (როგორც მეტროს, ასევე, საბაგიროს) სალაროებში.

ავტობუსით მგზავრობის საფასურის გადახდა შესაძლებელია, ასევე, ნაღდი ფულითაც. ავტობუსებში დამონტაჟებული გადახდის აპარატები იღებს მხოლოდ რკინის მონეტებს 10 თეთრის ზევით და არ აბრუნებს ხურდას.

გათვალისწინეთ!

- ბარათის დაზიანების შემთხვევაში (გარდა მექანიკური დაზიანებისა - ბარათის გადაღუნვა, დაკეცვა ან სხვა დაზიანება, რომელიც გამოწვეულია ბარათის არასწორი მოხმარებით), შეგიძლიათ მიმართოთ პრობლემური



ბარათების ცენტრს - მეტროსადგურ „ავლაბარსა“ და „სამედიცინო უნივერსიტეტი“, სადაც მოხდება ბარათის უფასოდ შეცვლა ახლით.

მგზავრობა საქართველოს ბანკის „EXPRESS CARD“-ის ბარათით.

მეტრომანის ბარათით სარგებლობის გარდა, მგზავრობის საფასურის გადახდა, ასევე, შესაძლებელია საქართველოს ბანკის „EXPRESS CARD“-ის ბარათით. „EXPRESS CARD“ არის საბანკო მომსახურების პლასტიკური ბარათი, რომლის მიღება შესაძლებელია საქართველოს ბანკის ყველა ფილიალში. „EXPRESS CARD“-ით მგზავრობის საფასურის გადახდისას მგზავრობის ღირებულება თქვენი „EXPRESS CARD“-ის საბანკო ანგარიშიდან დაიფარება და არ იქნება საჭირო სპეციალურად მგზავრობისთვის დეპოზიტის შევსება.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ:
www.expresscard.ge

გაითვალისწინეთ!

„EXPRESS CARD“-ის ბარათით მგზავრობის ღირებულების გადახდისას მნიშვნელოვანია საბარათე ანგარიშზე საკმარისი თანხის ქონა. სხვა შემთხვევაში ბარათი გავა მინუსში და გამოყენებული თანხა დაგერიცხებათ, როგორც ბანკის მიმართ არსებული საკრედიტო დავალიანება. ამავდროულად, ბარათი დაიბლოკება.

მგზავრობის ღირებულება

ერთჯერადი მგზავრობის ღირებულება შეადგენს 50 თეთრს.

ფასდაკლება და შეღავათიანი ტარიფები

„მეტრომანის“ ბარათით სარგებლობისას თქვენ ავტომატურად სარგებლობთ ფასდაკლების სისტემით. მეტროში და ავტობუსში „მეტრომანის“ ბარათით პირველი მგზავრობის საფასურის, 50 თეთრის გადახდის შემდეგ საათნახევრის განმავლობაში, მეტროსა და ავტობუსში, სხვა მარშრუტზე გადაჯღომისას იმგზავრებთ უფასოდ.

აღნიშნული ფასდაკლების გარდა, მუნიციპალურ ტრანსპორტში მოქმედებს შეღავათიანი და უფასო ტარიფები სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე პირთათვის:

- ტარიფი 0 თეთრი - სკოლის მოსწავლეები, ომის ვეტერანები, შშმ პირები და სხვა;
- ტარიფი 10 თეთრი - სოციალურად დაუცველი პირები;
- ტარიფი 20 თეთრი - პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო



დაწესებულებების სტუდენტები, პენსიონერები, სამედიცინო პერსონალი და სხვა.

გაითვალისწინეთ!

სხვა ტრანსპორტში გადაჯდომისას უფასოდ მგზავრობა შესაძლებელია თუ პირველი გადახდიდან გასულია 10 წუთი. სხვა შემთხვევაში, ხდება 50 თეთრის ხელმეორედ გადახდა.

მარშუტები

როგორც შპს „თბილისის მიკროავტობუსი“, ისე „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ მგზავრებს საშუალებას აძლევს მათ ვებ-გვერდებზე მუსტი ინფორმაცია მიიღონ კონკრეტულ მარშუტებთან, გაჩერებების განლაგებასთან და ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკებთან დაკავშირებით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ:
www.ttc.com.ge

ჯარიმა

თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მგზავრთა მონიტორინგის სამსახურის 150-200 კონტროლიორი ყოველდღიურად პატრულირებს თბილისის სხვადასხვა უბანში უბილეთო მგზავრობის აღკვეთის მიზნით. დაჯარიმებისას ივსება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და ერთი ასლი ბარდება დაჯარიმებულ პრის, ჯარიმის გადახდის მიზნით. უბილეთოდ მგზავრობა ჯარიმდება 5 ლარით. ჯარიმა უნდა დაიფაროს 30 დღის განმავლობაში. მგზავრს უფლება აქვს ჯარიმის გამოწერიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გაასაჩივროს გადაწყვეტილება.

გაითვალისწინეთ!

- არ გადააგდოთ სამგზავრო ბილეთი ავტობუსის დატოვებამდე. შესაძლოა, თქვენი შემომწმება მოხდეს ავტობუსიდან ჩამოსვლის მომენტში, ავტობუსის გაჩერებაზე;
- 30 დღის განმავლობაში, ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, ჯარიმის თანხას დაემატება საურავი 50 ლარის ოდენობით.

საკონტაქტო ინფორმაცია:
ვებ გვერდი: www.ttc.com.ge
მის.: თბილისი, ვაგშლის მოედანი №2
ტელ.: (+995 32) 235-77-77



ფაქსი: (+995 32) 2 93 41 41
ცხელი ხაზი: (+995 32) 2 93 44 44
ელ-ფოსტა: info@metro.ge

მიკროავტობუსი

მგზავრთა გადაყვანით თბილისში დაკავებულია შპს „თბილისის მიკროავტობუსი“. მიკროავტობუსების სამუშაო საათები განსხვავებულია მარშრუტიდან გამომდინარე. ძირითადი სავაჭრო ობიექტების მიმართულებით (ვაგზლის მოედნის, სამგორის და ლილოს მიმართულებით) მომუშავე მიკროავტობუსები მგზავრების გადაყვანას ახორციელებს დილის 6 საათიდან. სხვა სამარშრუტო ხაზებზე მგზავრთა გადაყვანა იწყება დილის 7 საათიდან და ძირითადად გრძელდება დამის 11 საათამდე.

გადახდის სისტემა

მიკროავტობუსებში მგზავრობის ღირებულების გადახდა შესაძლებელია ინტეგრირებული ბარათით, „მეტრომანიტ“, რომელიც მოქმედებს მეტროსა და ავტობუსში, ასევე საქართველოს ბანკის „მეტრომანიტ“ „EXPRESS CARD“ ბარათით. ანგარიშსწორება, ასევე, შესაძლებელია ნაღდი ფულის საშუალებითაც.

ტარიფები და შეღავათები

მგზავრობის ტარიფები განსხვავებულია მიკროავტობუსების მარშრუტის მიხედვით:

- მიკროავტობუსებზე, რომლთა ტარიფია 80 თეთრი, დღის განმავლობაში მეორე და მომდევნო მგზავრობებზე მოქმედებს ფასდაკლება და მგზავრობის საფასური შეადგენს 65 თეთრს;
- თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრებ სოციალურად დაუცველ პირებზე ვრცელდება 50%-ანი ფასდაკლება. შესაბამისად, მიკროავტობუსებზე, რომლით მგზავრობის ღირებულება შეადგენს 80 თეთრს, პირველი მგზავრობის ფასია 40 თეთრი, ხოლო მომდევნო მგზავრობების საფასური შეადგენს 32 თეთრს.

გათვალისწინეთ!

შეღავათები და ფასდაკლებები მოქმედებს მხოლოდ ბარათით გადახდის შემთხვევაში.

საკონტაქტო ინფორმაცია:
ვებ-გვერდი: www.tm.ge
მის.: თბილისი, მწინამძღვრიშვილის ქ. N160
საინფორმაციო ცენტრი: 2 200 340
ელ-ფოსტა: info@tm.ge



თბილისისა და ბათუმისგან განსხვავებით, საქართველოს სხვა ქალაქებში და რაიონულ ცენტრებში მგზავრთა გადაყვანას, ძირითადად, ახორციელებენ კერძო მიკროავტობუსები. კონკრეტულ ქალაქში და რაიონულ ცენტრში მომსახურების საფასური დამოკიდებულია სამარშრუტო ხაზის მანძილზე.

საქალაქთაშორისო გადაადგილება

საქალაქთაშორისო გადაადგილება ხორციელდება საგზაო და სარკინიგზო ტრანსპორტით. საქართველოს რკინიგზა ახორციელებს, როგორც საქალაქო, ისე საერთაშორისო მიმართულებების რეისებს. რეისები ხორციელდება როგორც დღის, ისე ღამის განავლობაში. ბილეთის შეძენა შესაძლებელია, როგორც სალაროსთან, ისე ინტერნეტის მეშვეობით.

სამგზავრო დოკუმენტის (ბილეთის) შეძენა

ბილეთის შეძენა შესაძლებელია მატარებლის გასვლამდე 40 დღით ადრე შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბილეთო სალაროებში, მომენტალური გადახდის აპარატებისა და ინტერნეტის მეშვეობით. ბილეთის გაფორმებისას აუცილებელია მგზავრის პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო 14 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის - დაბადების მოწმობა ან პასპორტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

- მგზავრთა უსაფრთხოების მიზნით, კომპიუტერული სისტემით ბილეთების გაყიდვა სალაროებში წყდება მატარებლის გასვლამდე 10 წუთით ადრე;
- მგზავრი მატარებელში დაიშვება მხოლოდ სამგზავრო დოკუმენტის და პიროვნების დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემთხვევაში;
- მგზავრთან ერთად უფასოდ შეიძლება მგზავრობდეს 5 წლამდე ასაკის ერთი ბავშვი, თუ იგი არ იკავებს ცალკე ადგილს, ხოლო ცალკე ადგილის დაკავების სურვილის შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამისი საბავშვო ბილეთის შეძენა;
- მგზავრთან ერთად 5 წლამდე ასაკის ერთზე მეტი ბავშვის მგზავრობისას, აგრეთვე 5-დან 10 წლამდე ასაკის თითოეული ბავშვისათვის აუცილებელია საბავშვო ბილეთის შეძენა.

მგზავრს უფლება აქვს დააბრუნოს გამოუყენებელი სამგზავრო დოკუმენტი (ბილეთი) და მიიღოს:

- ბილეთის მთლიანი საფასური - მატარებლის გასვლამდე არაუგვიანეს 15 საათისა;
- ბილეთის საფასურის 85% - მატარებლის გასვლამდე 15-დან 4 საათამდე დროში;
- ბილეთის საფასურის 70% - მატარებლის გასვლამდე 4 საათზე ნაკლებ



დროში ან მატარებლის გასვლის მომენტიდან არა უმეტეს 3 საათისა.

გაითვალისწინეთ!

- დაკარგული, ან გაფუჭებული (გახეული, დამწვარი, დასველებული და ა.შ.) ბილეთის განახლება, ან ღირებულების ანაზღაურება დაუშვებელია.

ინტერნეტით ბილეთის შესყიდვა

ინტერნეტის მეშვეობით, online რეჟიმში, საქართველოს რკინიგზის სამგზავრო ბილეთების ყიდვა შესაძლებელია ინტერნეტ გაყიდვის ვებ-გვერდზე. სამგზავრო მატარებლებზე ბილეთების ინტერნეტით გაყიდვა წარმოებს მატარებლის გასვლამდე 40 დღის განმავლობაში. თავისუფალი ადგილებისა და ფასების შესახებ ინფორმაციის მისაღებად უნდა იხილოთ მატარებლების განრიგის გრაფა.

რეგისტრაციის და ბილეთის შესყიდვის პროცედურის დეტალური ინსტრუქცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

www.tickets.railway.ge/login.aspx

საგზაო ტრანსპორტი

რკინიგზის გარდა, საქართველოში საქალაქთაშორისო მგზავრობა ხორციელდება მიკროავტობუსების და ავტობუსების გამოყენებითაც. მიკროავტობუსები სხვადასხვა მიმართულებით გადიან ავტოვარგბლების ტერიტორიებიდან. ზოგიერთ რეგიონში ბაზრობების და რეგიონალური ცენტრების მიმდებარე ტერიტორიებიდანაც.

მგზავრობის ფასი მერყეობს 1 ლარიდან 25 ლარამდე და დამოკიდებულია მარშრუტზე. მგზავრობა ხორციელდება დღის საათებში. ღამის საათებში მგზავრობა შესაძლებელია მხოლოდ თბილისი-ბათუმის მიმართულებით, კომპანია „მეტრო ჯორჯია“-ს კუთვნილი ავტობუსებით.

საკონატქო ინფორმაცია:
ვებ-გვერდი: www.geometro.ge
მის.: ბათუმი, ნ.გოგოლის ქ. 1
ტელ.: (+995) 422 24 22 44
მობ.: (+995) 577 15 94 00
info@geometro.ge

ავტომობილის რეგისტრაცია

ქვეყნის ფარგლებს გარედან საქართველოში რეგისტრაციის მიზნით შემოსული ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა დარეგისტრირდეს შინაგან საქმეთა



სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, შემოყვანიდან 90 დღის განმავლობაში. რეგისტრაციის მესაკუთრემ უნდა წარმოადგინოს:

- განცხადება (ივსება ადგილზე);
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- სატრანსპორტო საშუალების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დათვალეურების აქტი (ივსება რეგისტრაციის ადგილას);
- კანონით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (სანომრე ნიშნის საფასური 35 ლარი; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის საფასური 35 ლარი);
- შიდა ტრანზიტი.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:

სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
მისამართი: თბილისი - წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კილომეტრი
ცხელი ხაზი: (+995 32) 2 41 91 91
www.sagency.ge

დამღვევა

ავტომობილის დამღვევას საქართველოში რამდენიმე სადამღვევო კომპანია ახორციელებს. თითოეულს საკუთარი განსხვავებული მიდგომა და სადამღვევო პაკეტები აქვს. ამის მიუხედავად, ავტომობილის დამღვევის ღირებულების გამოთვლისას სადამღვევო კომპანიები ერთნაირად ითვალისწინებენ რამდენიმე ფაქტორს, რომელიც მოქმედებს ავტომობილის დამღვევის საფასურზე. ესენია:

- მძღოლის ასაკი და ავტომობილის მართვის გამოცდილება;
- ავტომობილის კლასი;
- ავტომობილის ღირებულება;
- ავტომობილის ასაკი;
- ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა.

ავტოდამღვევის ძირითადი სადამღვევო პაკეტები ბარალის ანაზღაურებას ითვალისწინებს შემდეგ შემთხვევებში:

- ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მიყენებული სრული ან ნაწილობრივი ბარალი;
- ავტომობილის ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;
- ავტომობილის სარკეებისა და სხვა აქსესუარების ქურდობა;
- ხანძარი, აფეთქება, ვანდალიზმი;
- სტიქიური უბედურებები.

საბაზისო პაკეტების ფასი იწყება თვეში 25 ლარიდან და შესაძლოა გაიზარდოს



ინდივიდუალური მოთხოვნიდან გამომდინარე. საბაზისო პაკეტების გაზრდა შესაძლებელია უფრო ძვირიანი და მეტი მომსახურების შემცველი პაკეტების შექმნით, ან ინდივიდუალური პაკეტების შედგენით. ეს პაკეტები სხვადასხვა კომპანიის შემთხვევაში განსხვავებულია და მოიცავს ისეთ სერვისებს, როგორც არის, მაგალითად:

- 24 საათიანი უფასო ავტო-ასისტანსი;
- მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა;
- მძღოლის და მგზავრების დაზღვევა.

გაითვალისწინეთ!

დაზღვევა არ აგინაზღაურებთ ზარალს, თუ:

- ავტოავარიის შემთხვევაში ავტომობილს მართავდით ნასვამ მდგომარეობაში, ან ნარკოტიკული ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ;
- მოძრაობდით გადაჭარბებული სიჩქარით;
- მოძრაობდით ღერძულა ხაზზე საწინააღმდეგო მიმართულებით;
- ქურდობა/ძარცვის დროს დაზღვეულ ავტომობილში დატოვებთ გასაღებებს და/ან ღია კარი;
- ელექტროსისტემები/ნაწილები მწყობრიდან გამოვიდა ცვეთის შედეგად;
- ავტომობილი დაზიანდა ისეთი მიზეზით, რაც არ არის დაზღვეული;
- კომპიუტერის და პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანებამ გამოიწვია სხვა ზარალი და ეს არ არის გამონკვეული სადაზღვევო შემთხვევით;
- ნებისმიერი სარემონტო ხარჯი გამონკვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზით;
- დაზიანდა ინტერიერი, სავარძლები, შალითები და ხალიჩები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დაზიანება გამონკვეულია დაზღვეული რისკებით.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სადაზღვეო კომპანიების ვებ-გვერდები:

ჯი პი აი ჰოლდინგი: www.gpih.ge

არდი ჯგუფი: www.ardi.ge

ირაო: www.iraogroup.ge

ალდაგი: www.aldagi.ge

უნისონი: www.unison.ge

აი სი ჯგუფი: www.icgroup.ge

ზოგიერთი მნიშვნელოვანი ჯარიმა სატრანსპორტო საშუალების მართვისას

- სატრანსპორტო საშუალების მართვა სიმთვრალის მდგომარეობაში, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ალკოჰოლური



სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისთვის თავის არიდება გამოიწვევს:

- სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 6 თვით შეჩერებას;
 - 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირისთვის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 1 წლით შეჩერებას.
- სატრანსპორტო საშუალების მართვა ნარკოტიკული, ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ან სატრანსპორტო საშუალების მართვისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ნარკოტიკული, ან ფსიქოტროპული სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდება გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 3 წლით შეჩერებას;
 - ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალისას სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება გამოიწვევს მართვის უფლების 3 წლით შეჩერებას;
 - ✓ ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის, ან მის გვერდით მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა – გამოიწვევს ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის დაჯარიმებას 40 ლარის ოდენობით. ეს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლს, რომლის კონსტრუქციაც არ ითვალისწინებს უსაფრთხოების ღვედებს.
 - მძღოლის მიერ მობილური ტელეფონით სარგებლობა – ჯარიმა 10 ლარი;
 - მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლის ან/და მგზავრის მიერ შეკრული მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობა – ჯარიმა 100 ლარი;
 - იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც აქვს გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა, საჭის სამართავი მექანიზმი, ან მისამბელი მოწყობილობა, ან მწყობრიდანაა გამოსული ფარები, უკანასაგაბარითო მაშუქები დღე-ღამის ბნელ დროს, ან მინის სანმენდი მექანიზმი წვიმის, ან თოვლის დროს, ან დარღვეულია ძრავის კვების სისტემის პერმეტულობა – ჯარიმა 15 ლარი;
 - იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელიც თვითნებურად არის გადაკეთებული (გადაკეთებულია სანვავის ავზი, ძარა, ან დაყენებულია ბუნებრივი აირის სისტემა, ან სხვაგვარადაა შეცვლილი სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქცია და იგი არ შეესაბამება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებს ან / და ქარხანა - დამამზადებლის სტანდარტებს) - ჯარიმა 100 ლარი;



- სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის მიწები დამუქებულია, ან მათი შექცაპტარობა შეზღუდულია დადგენილი წესის დარღვევით - ჯარიმა 50 ლარი;
- სატრანსპორტო საშუალების მართვა მძღოლის მიერ, რომელსაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ან ეს უფლება შეჩერებულ აქვს სხვა დარღვევისათვის – ჯარიმა 500 ლარი;
- იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელიც არ არის რეგისტრირებული დადგენილი წესით – ჯარიმა 250 ლარი;
- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვება, ან საგზაო - სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან გადაადგილება – ჯარიმა 250 ლარი;
- სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა – ჯარიმა 300 ლარი, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 1 წლით შეჩერება.
- სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით – ჯარიმა 50 ლარი:
 - ✓ თუ ამას მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა, ან მოძრაობის შეფერხება – ჯარიმა 250 ლარი.
- ბავშვთა გადაყვანის უსაფრთხოების წესების დარღვევა – ჯარიმა 40 ლარი;
- სატრანსპორტო საშუალებაზე საცნობი ნიშნის დამაგრების წესის დარღვევით მოძრაობა – ჯარიმა 50 ლარი;
- გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა – ჯარიმა 50 ლარი;
- უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა – ჯარიმა 50 ლარი.

ჯარიმებთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად უნდა დარეგოთ:


(+995 32) 2 41 17 92; (+995 32) 2 41 17 94; (+995 32) 2 41 18 03.

ან მიზრძანდეთ ქ.თბილისი, გ. გულუას №8-ში, სამართალდარღვევათა აღრიცხვის და ანალიზის სამსახურში (საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს სამართალდარღვევათა აღრიცხვის და ანალიზის სამსახური).



**„რეინტეგრაციის გზამკვლევი დაბრუნებული მიგრანტებისთვის“
პუბლიკაციაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ:**

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
- დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
- იუსტიციის სამინისტროს / სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს / მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურსოფლის მეურნეობის სამინისტროს



პუბლიკაციაზე მუშაობდნენ:

**გიორგი გოგიშვილი
ქეთი აბულაშვილი
ზვიად დევდარიანი**